



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №1005-ო/17

-- -- 2017 წლის 10 მაისის №1005-ო განცხადება-საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №1005-ო დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისს სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა -- -- აღნიშნა, რომ -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე -- და -- მიმართ.

ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარემ ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვა პატიმრობის გამოყენება.

2016 წლის 03 აპრილის განჩინებით, -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 12 000 ლარის ოდენობით, ხოლო -- შეეფარდა პატიმრობა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ იგი თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2016 წლის 18 აპრილს დააკავეს ძებნილი -- ხოლო მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა ძალაში დარჩა.

2017 წლის 16 იანვრის სასამართლო სხდომაზე, საქართველოს სსსკ 230¹-ე მუხლის საფუძველზე, მოსამართლე -- განიხილა -- მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი და -- მიმართ გამოყენებული პატიმრობა შეცვალა აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი სახით - გირაო 10000 ლარის ოდენობით.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- ზემოაღნიშნული ქმედებით გააჭიანურა სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რადგან აღკვეთის ღონისძიების გირაოს შეფარდების დღიდან პირველივე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა სასამართლოში, რითაც ხელი შეუშალა სასამართლო განხილვას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- 2017 წლის 16 იანვრის სასამართლო სხდომაზე, საქართველოს სსსკ 230¹-ე მუხლის საფუძველზე, განიხილა -- მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი და პატიმრობა შეცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და -- მიმართ გამოიყენა გირაო 10000 ლარის ოდენობით.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- 2017 წლის 27 ივნისის განაჩენით -- ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქ/ პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (2016 წლის 16 მარტის ეპიზოდი).

-- ასევე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქ/ პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (2016 წლის 29 მარტის ეპიზოდი).

-- ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა (2016 წლის 16 მარტის ეპიზოდი).

-- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ 63-64-ე მუხლების

საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 03 (სამი) წლის გამოსაცდელი ვადით (2016 წლის 16 მარტის ეპიზოდი).

-- ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა (2016 წლის 29 მარტის ეპიზოდი).

-- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 04 (ოთხი) წლის გამოსაცდელი ვადით (2016 წლის 29 მარტის ეპიზოდი).

საბოლოოდ, -- საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სასჯელის სახით და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლით, რაც ჩაეთვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230¹-ე მუხლის თანახმად, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ასევე 2017 წლის 16 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმის დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის პროცესში მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. ამასთან, საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა კანონით დადგენილ ვადაში, 2017 წლის 27 ივნისს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №1005-ო/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი